



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 51

2011 წლის 29 აპრილი
ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 300 კვ.მ. სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თ) ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ მე-3 მუხლის საუბველოზე, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 18.04.2011წლის N 849 წერილის გათვალისწინებით:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 300 კვ.მ (საკადასტრო კოდი 69.08.59.131) საკუთრების უფლების მიტოვება სახელმწიფოს სასარგებლოდ.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტს მიტოვების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში დადგენილი წესის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ. ლომიძე